ტექნიკური დავალება
500 კვ ეგხ „კავკასიონის“ N153-N232 საყრდენებს შორის მონაკვეთზე (კოდორის ხეობა) ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებზე

500 კვ ეგხ „კავკასიონის“ N153-N232 საყრდენებს შორის მონაკვეთი გადის მდინარეების საკნორასა და კლიჩის ხეობებში. ელექტროგადამცემი ხაზი აღნიშნულ მონაკვეთზე გადის რთულ რელიეფურ და მეტეოროლოგიურ-კლიმატურ არეალში და ყოველწლიურად საჭიროებს გარკვეული მოცულობების სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას მისი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის.

2020 წლისათვის სს გეს „საქრუსენერგოს“ 500 კვ ეგხ „კავკასიონის“ N153-N232 საყრდენებს შორის მონაკვეთზე დაგეგმილი აქვს სარემონტო სამუშაოები, რომლებიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება, აუცილებლობის შემთხვევაში საჭირო იქნება გადაუდებელი სამუშაოების შესრულებაც, რაც უზრუნველყოფს ელექტროგადამცემი ხაზის ნორმალურ ფუნქციონირებას):

- №176 (У2+5 ტიპის) და №225 (У2С2 ტიპის) საყრდენების „A” ფაზის დგარის წაქცევისაგან თავიდან ასაცილებლად ბაგირული საჭიმებით მეზობელი „B” ფაზის დგარის ქუსლებთან ჩამაგრებას, თანდართული ესკიზის შესაბამისად (დანართი-1);
- N172-N219 საყრდენებს შორის მონაკვეთში, 3,8 კმ-ის სიგრძის, საყრდენებამდე მისასვლელი გზების გაწმენდას ქვაღორღისაგან და თოვლის ზვავისაგან დაზიანებული ცხრა უბანის აღდგენას ბულდოზერის გამოყენებით;
- N172-N229 საყრდენებს შორის მონაკვეთზე ამონაყარი ხე-მცენარეების გაწმენდას - 18,66 ჰექტარზე (N219-N229 და N166-N153 საყრდენებს შორის მონაკვეთზე ამონაყარი ხე-მცენარეების გასწმენდად პერსონალი უნდა გადაადგილდეს ფეხით, დანარჩენ მონაკვეთებზე შესაძლებელია ავტომობილით გადაადგილება);
- გატეხილი იზოლატორების შეცვლას N153 საყრდენიდან N229 საყრდენამდე (რადგან ეგხ-ს მონაკვეთი N229 საყრდენიდან N232 საყრდენამდე გადის რუსეთთან სასაზღვრო ნეიტრალურ ზონაში, აღნიშნულ საყრდენებთან მისვლის უფლების მოპოვება შეიძება ვერ მოხერხდეს);

იზოლატორებისა და სხვა მასალა-მოწყობილობების მიტანა ეგხ-ს N218 საყრდენიდან N229 საყრდენამდე (3,5 კმ) მოხდება ხელით, ხოლო N166-დან N153 საყრდენემდე (4,5 კმ) - ცხენების გამოყენებით. დანარჩენ უბნებზე შესაძლებელი იქნება ავტომობილებით გადატანა.

დანართ-2-ში წარმოდგენილია 500 კვ ეგხ „კავკასიონის“ N153-N232 საყრდენებს შორის მონაკვეთზე ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოების მოცულობა და შესრულების სავარაუდო ვადები.

500 კვ ეგხ „კავკასიონი“, საქართველოს ეროვნულ სადისპეტჩერო ცენტრთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, შეკეთებაში ჩადგება 2020 წლის 05 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით, რა პერიოდშიც უნდა შესრულდეს სარემონტო სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ეგხ-ს გამორთვასთან და შეკეთებაში ჩაყენებასთან.